ტურისტული კლასტერის განვითარება კახეთის რეგიონში როგორც ეკონომიკის ერთერთი პრიორიტეტული მიმართულება

DOI:10.36962/ECS106/11-12/2024-41

მერი ოსოშვილი
სტუ დოქტორანტი
meri.ososhvili@gmail.com

რეზიუმე

განხილულია ტურისტული კლასტერის განვითარების საკითხები კახეთის რეგიონში, როგორც რეგიონის ეკონომიკის ამაღლების პრიორიტეტული მიმართულება. აღნიშნულია, რომ კახეთის რეგიონის ეკონომიკური განვითარება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, როგორც თავად რეგიონისათვის და ისე ჩვენი ქვეყნისათვის. ბოლო პერიოდში, სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ინიციატივები მხარს უჭერს კლასტერების განვითარებას, ანუ, ბიზნეს კლასტერების შექმნას, რაც მცირე და საშუალო კომპანიებს საშუალებას აძლევს იგივე ინდუსტრიის წარმომადგენელ სხვა ბიზნესებთან პარტნიორობით გახდნენ უფრო კონკურენტული და შექმნან მეტი სამუშაო ადგილი. ბაზარზე ორიენტირებული კლასტერის განვითარება და საპილოტე მოდელის დანერგვა - გააერთიანებს თემატურ კლასტერს ტურიზმის სექტორში - მაგალითად, კახეთის ადგილობრივი ღვინისა და გასტრონომიული ტურიზმის კლასტერში გაერთიანდებიან სურსათის ადგილობრივი მწარმოებლები, ღვინის საწარმოები, რომლებიც მომხმარებელს ტურისტულ და სასტუმრო სერვისებს სთავაზობენ, რესტორნები და საოჯახო სასტუმროები, რომლებიც ადგილობრივი კულინარიული პროდუქციის რეალიზებას ახდენენ, ასევე, ღვინის ბარები და სექტორული ასოციაციები; კლასტერები განაპირობებენ ახლებურ შეხედულებას ეკონომიკასა და მის განვითარებაზე, ბიზნესის, მთავრობისა და ინსტიტუტების ახალ როლზე და ურთიერთთანამშრომლობაზე.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ტურისტული კლასტერი, რეგიონული ეკონომიკა, სახელმწიფო პოლიტიკა.

შესავალი

კლასტერი არის ერთმანეთთან დაკავშირებული ინდუსტრიის და ისეთი საქმიანობის სისტემა, რომლებსაც ახასიათებთ შიდა ინდუსტრიული ურთიერთდამოკიდებულების ფართო სპექტრი.

კლასტერები წარმოადგენენ კომპანიების, ერთმანეთთან დაკავშირებული ეკონომიკური მოთამაშეებისა და ინსტიტუციების ჯგუფებს, რომლებიც გეოგრაფიულად ერთმანეთთან ახლოს არიან განთავსებულნი და აქვთ საკმარისი მასშტაბები იმისათვის, რომ განავითარონ საკუთარი სერვისები, დასაქმებულების უნარ-ჩვევები და საწარმოო რესურსები. კლასტერების უმეტესობა არ წარმოადგენენ ხელოვნურ გაერთიანებებს, მათი წარმოშობა ბუნებრივად ხდება, გეოგრაფიული ადგილმდებარეობით განპირობებული შესაძლებლობების საფუძველზე. კლასტერი არ არის ვიწრო სექტორული გაერთიანება. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი კლასტერი მოიცავს კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში კონკრეტულ საქმიანობას, ის ასევე აერთიანებს ერთმანეთთან დაკავშირებულ ინდუსტრიას და არ არის კონცენტრირებული მხოლოდ ვიწრო სპეციალიზაციის საქმიანობაზე.

კლასტერების ეფექტიანი ფუნქციონირება დამოკიდებულია მასში შემავალი ჯგუფების და-

შორებასა და ცვლადების ზემოქმედებაზე. ცვლადებთან მიმართებით კი კლასტერები ერთნაირად მგრძნობიარე არ არიან. ისინი განსხვავდებიან რისკების მიხედვით. ეს უკანასკნელი კი იმაზე მეტყველებს, რომ კლასტერის ჯგუფებად დაყოფა ხარისხიანი შედეგის მომცემი იქნება. მისი ბუნებიდან გამომდინარე, ჯგუფებს შორის გადანაწილებული იქნება როგორც რისკები, მაქსიმალურად მოხდება თითოეულის პრიორიტეტის გამოვლინება და გამოყენება, რაც საჭიროა კლასტერში პროცესების უწყვეტობისათვის. პროცესებში ჩართულია სხვადასხვა ეკონომიკური ინსტიტუტი, როგორებიცაა, ფინანსური პროვაიდერები, საგანმანათლებლო დაწესებულებები. აღნიშნული სუბიექტები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან სხვადასახვა გარე ფაქტორით. მათი საქმიანობის ეფექტიანობა დაფუძნებულია ეკონომიკური სარგებლის სინერგიაზე. კლასტერი აკავშირებს სხვადასხვა მწარმეობლებს, ადამიანურ რესურსს, პროდუქტსა და მომსახურებას. ასეთი კავშირების მეშვეობით ერთი კლასტერი უკავშრდება სხვა კლასტერებს, რაც მთლიანობაში ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკის ეფექტიან და მდგრად განვითარებას.

კლასტერიზაციის პროცესში, სწორი და სრულფასოვანი ანალიზისათვის უნდა გავითვალისწინოთ, რომ ობიექტები თითოეულ კლასტერში მაქსიმალურად მსგავსები უნდა იყვნენ და ამავე დროს უნდა განსხვავდებოდნენ სხვა კლასტერების ობიექტებისაგან. აღნიშნულის გათვალისწინებით, კახეთის რეგიონის ტურისტული კლასტერის მოდელი შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ (სქემა.1)



სქემა 1

სქემა თვალსაჩინოს ხდის კახეთის რეგიონის ტურისტული კლასტერის ჯაჭვს, კონკრეტულად კი ტურისტულ კლასტერის კომპონენტად, საგულისხმოა სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის და მეღვინეობის კლასტერის გაერთიანება.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე პირობებში ტურიზმი ერთ-ერთი სწრაფი განვითარების დარგია, გამოდის რა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ კატალიზატორად ტურისტული ინდიკატორი

მასტიმულირებელ გავლენას ახდენს ეკონომიკის სხვა მონათესავე დარგებზე.

ამჟამად მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში ფართო განვითარება ჰპოვა საწარმო ურთიერთობების ორგანიზაციის კლასტერმა. ამ მიდგომამ შეიძლება ძირფესვიანად შეცვალოს რეგიონის ეკონომიკა და მათ შორის ტურიზმის სფერო.

მეცნიერთა აზრით ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ კლასტერებმა, როგორც კლიენტების მოზიდვისა და ეკონომიკის ტურისტული დარგის, განვითარების, ეფექტიანობის ამაღლების ერთერთი ფორმა. ტურიზმის განვითარება რთული და მრავალმხრივია და იგი წარმოადგენს ურთიერთედაკავშირებულ დარგებს.

ტურიზმი საზოგადოების განვითარების ინტერესებს ემსახურება და არის შემოსავლის წყარო, როგორც მიკრო, ასევე მაკრო ეკონომიკურ დონეზე. ტურიზმი დამატებით სამუშაო ადგილების შექმნის ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, სწრაფად ხდება საგზაო და სასტუმრო მშენებლობა, ასევე ასტიმულირებს ყველა სახის ტრანსპორტისა და რეგიონის ეროვნული კულტურის განვითარებას.

ტურიზმი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, ეკონომიკის ისეთ დარგზე, როგორიცაა ტრანსპოტი და კავშირგაბმლობა, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, სოფლის მეურნეობა და კახეთის რეგიონისათვის ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგის, როგორიცაა მევენახეობა-მეღვინეობა, ანუ იგი გამოდის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კატალიზატორად.თავის მხრივ ტურიზმის განვითარებაზე მოქმედებს სხვადასხვა ფაქტორები, კერძოდ: დემოგრაფიული, ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიული, რელიგიური და პოლიტიკურ-სამართლებრივი. ტურიზმის განვითარებაზე მოქმედებს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, თავისუფალი დროის ხანგრძლივობის გადიდება, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა და სხვა ფაქტორები.

ტურისტული კლასტერის ჩამოყალიბების მიზანია რეგიონის ეკონომიკური მდგრადობის დონის ამაღლება, ინფტრასტრუქტურის განვითარება, ტურისტული კლასტერში შემავალ საწარმოთა და ორგანოთა ეფექტიანობის ამაღლება. ტურისტული ბიზნესის ახალი მიმართულების განვითარების სტიმულირება.

ჩვენი საკვლევი რეგიონი კახეთი მოიცავს დიდ პოტენციალს ტურიზმის განვითარების მხრივ. აქვს რა უნიკალური ბუნებრივი კომპლექსი და მდიდარი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, არის მყარი საფუძველი მდგრადი ეკონომიკის, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების და დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისათვის.

სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების საქმიანობის მიზანია რეგიონული და ქვეყნის ეკონომიკის მოდელის ჩამოყალიბება და რეალიზება, რომელსაც გააჩნია ტურიზმის სტრატეგიული განვითარების ხანგრძლივი პროგრამა და რომელსაც შეუძლია აამაღლოს რეგიონის კონკურენტუნარიანობა, უზრუნველყოს მოსახლეობის კეთილდღეობა.

სახელმწიფომ ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს რეგიონული ტურიზმის განვითარებას, უზრუნველყოს შესაბამისი დაფინანსება და სამართლებრივ დონეზე ამ მიმართულებების განვითარების სტიმულირება. ტურისტული სისტემის სახელმწიფო რეგულირების პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო აღიარებს რა ტურისტულ საქმიანობას ეკონომიკის ერთერთი პრიორიტეტული დარგად, ხელს უწყობს მის განვითარებას და ყველა პორობას ქმნის მისი განვითარებისათვის, რეკლამას უწევს როგორც რესპუბლიკურ, ისე მსოფლიო მასშტაბით, ასევე ახორციელებს მხარდაჭერას და დაცვას.

კახეთის რეგიონისათვის ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვანი წყაროა. ტურისტული ბიზნესი ხელს უწყობს სხვა დარგის განვითარებასაც. რეგიონში ტურიზმის აღმავლობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების, ტურისტული პოტენციალის გაძლიერებისა და რეგიონში თანამედროვე ინდუსტრიის ჩამოყალიბების.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და საქსტატის ანგარიშებიდან გამო-

მდინარე კახეთის რეგიონი გამორჩეულად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტურიზმის ეკონომიკაში, რაც დასტურდება ვიზიტორთა და ტურისტული კომპანიების გამოკითხვებითა და პირდაპირი ინვესტიციების ზრდით .

თანამედროვე ტურიზმის უმნიშვნელოვანეს მიმზიდველობას წარმოადგენს მოგზაურობის დროს მიღებული განუმეორებელი შთაბეჭდილება. სწორედ ამიტომ კახეთი იდენტიფიცირებულია საქართველოს უმნიშვნელოვანეს ფენომენებთან, როგორიცაა: - „ღვინის სამშობლო“, UNESCO-ს მიერ აღიარებული მსოფლიო არამატერიალური მემკვიდრეობის - „ქვევრის ღვინის“ სამშობლოდ; - კავკასიის მთიანეთი განუმეორებელი თუშეთით: აღმოსავლეთ კავკასიონის მაღალმთიანი მხარე, სადაც ჯერ კიდევ შენარჩუნებულია შუასაუკუნოვანი არქიტექტურა და ბუნებასთან თანაცხოვრების ჰარმონიული მაგალითები; - უძველესი არქეოლოგიური მონაპოვრები, ადრექრისტიანული და შუასაუკუნეების არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშები და სამონასტრო ცხოვრების ცოცხალი ტრადიცია; - ეროვნულ პარკებში დაცული განსაკუთრებული ლანდშაფტები და უნიკალური ბიომრავალფეროვნება (ლაგოდეხის, თუშეთის, ვაშლოვნის ეროვნული პარკები); საბოლოო ჯამში, კახეთი ხასიათდება სამი მთავარი ტურისტული მიმზიდველობის ფაქტორით: - ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა და მისი შემეცნება; - განუმეორებელი ბუნება და სათავგადასავლო მოგზაურობა; - ღვინო და სტუმარმასპინძლობის ტრადიცია დღევანდელ სამყაროში ტურიზმი მაღალი კონკურენციის სფეროს მიეკუთვნება. შესაბამისად, ტურისტული შეთავაზების წარმატებულ ტურისტულ პროდუქტად ჩამოყალიბება საჭიროებს შესაბამის ადგილობრივ ინფრასტრუქტურას, ლოჯისტიკას, სატრანსპორტო კომუნიკაციას, უსაფრთხოებასა და სასიამოვნო საცხოვრებელ გარემოს, კონკურენტულ ფასებს და, რაც მთავარია, მომსახურების სფეროს, პერსონალის უნარ-ჩვევებს. ამ მხრივ, რეგიონში ტურისტული თვალსაზრისით დღეისათვის ჩამოყალიბებულია რამდენიმე ურბანული კვანძი - თელავი, ყვარელი, სიღნაღი, ახმეტა. ამ კვანძების ირგვლივ აქტიურად ვითარდება მცირე სოფლები, მარნებისა და სასტუმროთა ქსელები და რეკრეაციული სივრცეები (მაგალითად: თელავის ირგვლივ - სოფლები ვარდისუბანი, იყალთო, წინანდალი; ყვარელის ირგვლივ - ილიას ტბა, ყვარლის ტბა, ლოპოტა; სიღნაღის ირგვლივ - სოფლები ნუკრიანი, ქედელი, ანაგა, ბოდბეს ისტორიულ-კულტურული კომპლექსი). ეს პოზიტიური და ბუნებრივი ტენდენციაა.

ტურიზმის განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, რომ რეგიონმა შეძლოს განავითაროს თავისი ლოჯისტიკური ფუნქციები: სატრანსპორტო კვანძები - სასტუმრო/განთავსების ცენტრი (საჭიროა არსებული შენობების გარდაქმნა მცირე საოჯახო სასტუმროებად და შესაბამისი მასშტაბის ახალი ნაგებობების შექმნა),საჭიროა განხორციელდეს ინვესტიციები ახალი საშუალო (მაქსიმუმ 40 ოთახი) და მცირე ზომის (15-20 ოთახი) სასტურმოების მშენებლობისათვის. კახეთის ისტორიული ცენტრების მიღმა, პერიფერიებზე უნდა განვითარდეს რესტორნები და საკვები ობიექტები, სავაჭრო და გასართობი ობიექტები, უნდა მოწესრიგდეს ქალაქის ცენტრში არსებული სავაჭრო სივრცეები ეს პროცესი კი ტურიზმის სექტორებში კლასტერის ფორმირების წინა პირობაა. ამ უკანასკნელთან მიმართებაში, აქცენტი უნდა გაკეთდეს ადგილობრივი წარმოების განვითარებაზე. ამის რესურსი არის და აუცილებელად უნდა მოხდეს კომპანიების ხელშეწყობა. ტურიზმის მიმართულებით კახეთში სასურველია სამი თემატური კლასტერის შექმნა, ადგილობრივი ღვინისა და გასტრონომიული ტურიზმის კლასტერი, ავთენტური სასტუმროების კლასტერი და კულტურული მემკვიდრეობის კლასტერი, სადაც გაერთიანდებიან შესაბამისი პროდუქტებისა და სერვისების მიმწოდებელი მეწარმეები და ორგანიზაციები. კონკრეტული აქტივობები ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტების გაცნობას, მარკეტინგისა და ონლაინ პრეზენტაციის მიმართულებებით შესაძლებლობების განვითარებას და სხვ.

დასკვნა

როგორც კვლევიდან გამოვლინდა, კლასტერების ეფექტიანი ფუნქციონირება დამოკიდებულია მასში შემავალი ჯგუფების დაშორებასა და ცვლადების ზემოქმედებაზე. ცვლადებთან მიმართებით კი კლასტერები ერთნაირად მგრძნობიარე არ არიან. ისინი განსხვავდებიან რისკების მიხედვით. ეს უკანასკნელი კი იმაზე მეტყველებს, რომ კლასტერის ჯგუფებად დაყოფა ხარისხიანი შედეგის მომცემი იქნება. მისი ბუნებიდან გამომდინარე, ჯგუფებს შორის გადანაწილებული იქნება როგორც რისკები, მაქსიმალურად მოხდება თითოეულის პრიორიტეტის გამოვლინება და გამოყენება, რაც საჭიროა კლასტერში პროცესების უწყვეტობისათვის. საბოლოოდ კი ყოველივე აღნიშნულით შესაძლებელი იქნება რეგიონის ექსპორტული პოტენციალის მიზანმიმართული გამოყენება და რეგიონის/ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარება. კლასტერული მოდელის გამოყენება პანდემიის პირობებში (და არა მარტო) ეროვნული ეკონომიკური პოტენციალის სწრაფი განვითარებისა და სრულად გამოყენების ერთ-ერთი ძლიერი ბერკეტი იქნება როგორც რეგიონების, ასევე მთლიანად ქვეყნის მასშტაბით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. თბ..2019.
2. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა. თბ.2021.
3. მ.მეტრეველი-ტურიზმისა და მასპინძლობის საფუძვლები. თბ.2017.
4. შაფათავა ნ., ხარატიშვილი ლ.-აგროტურიზმი სოფლის მულტიფუნქციური განვითარების გზა. შ.რუსთაველის ფონდი. თბ. ეკონომიკა 3(4).2017.
5. ე. ბარათაშვილი. ბარათაშვილი ი.-კლასტერების მენეჯმენტი თბ. უნივერსალი.2019
6. პ. კოღუაშვილი- საქართველოში მეწარმეობის განვითარების ეტაპები ტურიზმის კონტექსტში. პ.გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - პოსკომუნსტური ქვეყნების ეკონომიკის აქტუალური პრობელემები თანამდროვე ეტაპზე . თბ 2013
7. ე.ბარათაშვილი, ნ.ფარესაშვილი და სხვა. ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა (სახელმძღვანელო) თბ .2012

REFERENCES:

1. National Tourism Administration of Georgia. Tb.. 2019.
2. National Tourism Administration of Georgia. Statistical overview of Georgian tourism. Tb. 2021.
3. M. Metreveli - basics of tourism and hospitality. Tb. 2017.
4. Shapatava N. Kharatishvili L. - Agrotourism is the way of multifunctional development of the village. Sh. Rustaveli Foundation. Tb. Economy 3(4). 2017.
5. E. Baratashvili. Baratashvili I. - Management of clusters Universal .2019
6. P. Koghuashvili - stages of development of entrepreneurship in Georgia in the context of tourism. Institute of Economics named after P. Gugushvili. International scientific conference - current problems of economy of post-communist countries at the contemporary stage. Tb 2013
7. E. Baratashvili, N. Faresashvili and others. Business management cluster policy (manual) Chapter 2012

THE DEVELOPMENT OF THE TOURISM CLUSTER IN THE KAKHETI REGION AS ONE OF THE PRIORITY DIRECTIONS OF THE ECONOMY

Meri Ososhvili
GTU, PhD Student
E-mail: meri.ososhvili@gmail.com

RESUME

The article discusses the issues of tourism cluster development in the Kakheti region as a priority direction for increasing the economic growth of the region. It is mentioned that the economic development of the Kakheti region is one of the main priorities as for the region, as for the country in general. Recently, initiatives implemented by the state support the development of clusters, that is, the creation of business clusters, which allow small and medium-sized companies to make partnership with other businesses representing the same industry to become more competitive and create more jobs. Development of a market-oriented cluster and introduction of a pilot model will unite the thematic cluster in the tourism sector. for example, in the local wine and gastronomic tourism cluster of Kakheti, local food producers, wine enterprises that offer tourist and hotel services to customers, restaurants and family hotels that sell local culinary products will be united. Also, wine bars and sector associations; clusters lead to a new perspective about the economy and its development, the role of cooperation of business, government and institutions.

Our study region, Kakheti, has great potential for tourism development. It has a unique, natural, complex and rich cultural heritage, which is a solid foundation for a sustainable economy, raising the standard of living of the population and ensuring long term social and economic development.

For the Kakheti region, the development of tourism contributes to the development of small businesses and is an important source of attracting foreign investments. Tourism proportionally contributes to the development of other sectors as well. The rise of tourism in the region is one of the most important factors in raising the standard of living of the population, strengthening the tourism potential and establishing a modern industry in the region.

According to the reports of the National Tourism Administration of Georgia and Geostat.ge, the Kakheti region plays an important role in the tourism sector, which is confirmed by the surveys of visitors and tourist companies and the increase in direct investments.

The attractiveness of modern tourism is the unique impressions received during the trip. That is why Kakheti is identified with the most important phenomena of Georgia, such as: - "the homeland of wine", the birthplace of "Kvevri wine"(recognized by UNESCO as a world intangible heritage). We have to consider the Caucasus Mountains with unique scenery: the highlands of the Eastern Caucasus, where medieval architecture and harmonious examples of coexistence with nature are still preserved; Ancient archaeological finds, magnificent examples of pre-Christian and medieval architecture and a living tradition of monastic life; special landscapes and unique biodiversity preserved in national parks (Lagodekhi, Tusheti, Vashlovni national parks); Ultimately, Kakheti is characterized by three main tourist attraction factors: (1)historical and cultural heritage and its knowledge; (2) Unrepeatable nature and adventure travel and (3) Wine and the tradition of hospitality.

Tourism is quite competitive industry. Therefore, the development of a tourism requires appropriate local infrastructure, logistics, transport communication, safety and healthy living conditions, competitive prices and, most importantly, service area- skills of staffs. In this regard, several urban nodes have been established in the region from the point of view of tourism - Telavi, Kvareli, Sighnaghi, Akhmeta. Small villages, chains of wineries and hotels, and recreational spaces are actively developing around

these junctions (for example: around Telavi - the villages of Vardisubani, Ikalto, Tsinandali; around Kvareli - Ilia Lake, Kvareli Lake, Lopota; around Sighnaghi - the villages of Nukriani, Kedel, Anaga, Bodbes historical-cultural complex). This Trend is quite positive and natural.

Considering the perspective of tourism development, it is important that the region can develop its logistics functions: transport hubs - hotel/accommodation center (it is necessary to transform existing buildings into small family hotels and create new buildings of the appropriate scale), it is necessary to invest in new medium (maximum 40 rooms) and small (15-20 rooms) for the construction of shelters. Beyond the historical centers of Kakheti, restaurants and food facilities, shopping and entertainment facilities should be developed on the outskirts, shopping spaces in the city center should be organized. This process is a precondition for cluster formation in tourism sectors. In relation to the latter, emphasis should be placed on the development of local production. There are resources for this and companies must be promoted. In the direction of tourism, it is desirable to create three thematic clusters in Kakheti, (1)a cluster of local wine and gastronomic tourism, (2) a cluster of authentic hotels and a (3) cluster of cultural heritage, where entrepreneurs and organizations providing relevant products and services will unite. Specific activities include familiarization with international standards, development of opportunities in the areas of marketing and online presentation, etc.

Thus, as the research showed, the effective functioning of clusters depends on the distance between the groups included in it and the influence of variables. Clusters are not equally sensitive to variables. They differ in risk. The latter indicates that dividing the cluster into groups will give qualitative results. Depending on its nature, risks will be distributed among the groups, the priority of each will be identified and used as much as possible, which is necessary for the continuity of the processes in the cluster. In the end, with all of the above, it will be possible to use the export potential of the region in a targeted manner and develop the economy of the region/country in a sustainable way. The use of the cluster model in the conditions of the pandemic (and not only) will be one of the strong levers for the rapid development and full use of the national economic potential, both for the regions and for the country as a whole.

Key words: tourism, tourism cluster, regional economy, state policy.